პარტიის დიად გეგმებს განვახორციელებთ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 6 დეკემბერი 1978 წ. № 284 (17328) ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმმა უახლოეს მიზნად დაგვისახა:

▲ გამოვნახოთ და ამამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის ახალი რეზერვები ▲ თავიდან ავიცილოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც აბრკოლებს წარმატებულ წინსვლას ▲ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ გეგმები ▲ ღირსეულად დავამთავროთ მეათე ხუთწლედის მუსამე წელი — ხარისხისა და ეფექტიანობის წელი!

მეცნიერების უდიდესი ცენტრი

პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ ავიაციის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებებს და პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის დაარსების მესამოცე წლისთავს.

1918 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის მითითებით, გამოჩენილი რუსი მეცნიერის ნ. ე. ჟუკოვსკის თხოვნის შესაბამისად აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტი გახდა უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევას უხამებს ექსპერიმენტულ სამუშაოთა მოწყობასა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას ახალი საავიაციო ტექნიკის შესაქმნელად.

ომისწინა წლებში აეროჰიდროდინამიკის ცენტრალურმა ინსტიტუტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ავიაციის განვითარებაში, მოუპოვა მას მსოფლიო აღიარება. სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტის კოლექტივმა დიდი წვლილი შეიტანა თვითმფრინავების საფრენოსნო და საბრძოლო თვისებების ამაღლებაში. აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის ფართო მეცნიერული კვლევა გახდა საფუძველი, რომელმაც უზრუნველყო თვისებრივად ახალი ნახტომი საავიაციო ტექნიკის განვითარებაში და ზებგერითს რეაქტიულ ავიაციაზე გადასვლა. ამჟამად ინსტიტუტი ფართო კვლევას ეწევა საავიაციო ტექნიკის შემდგომი განვითარებისა და ახალი თაობის თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების შესაქმნელად.

აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის წამყვან მუშაკთა შორის იყვნენ საკვეყნოდ ცნობილი მეცნიერები — აკადემიკოსები ს. ა. ჩაპლიგინი და მ. ვ. კელდიში, აგრეთვე გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორები ა. ნ. ტუპოლევი, პ. ო. სუხოი, ვ. მ. მიასიშჩევი, მ. ლ. მილი და სხვები.

განაგრძობს რა სახელოვან ტრადიციებს, აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა და მოსამსახურეთა შესანიშნავი კოლექტივი, რომელიც პარტიის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულების სულისკვეთებით არის აღზრდილი, შემოქმედებითად და მიზანდასახულად მუშაობს, რათა შეასრულოს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებანი მეცნიერული კვლევის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების, მრეწველობაში მეცნიერული შედეგების უსწრაფესი დანერგვის შესახებ.

მჯერა, რომ პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის აეროჰიდროდინამიკის ცენტრალური ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივი თავდადებული შრომით უზრუნველყოფს საავიაციო ტექნიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე პოზიციებს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს!

ლ. ბრეჟნევი.

მშვენებლობას — მუდმივი პარტიული ზრუნვა!

მიიწურა ხუთწლედის მეხუთე წელი... საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შემოქმედებითად და, რომ იტყვიან, პირდაპირ მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა სულ უფრო ამრავლონ თავიანთი მიღწევები პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნაპატიო გზაზე.

მიღწევები კი ცოტა როდია. წლეულს წინა სამი კვარტალის შედეგებით საქართველო მთელ ხაბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა შრომის ნაყოფიერების, ხოლო მეხუთე ადგილზე — წარმოების მოცულობის ზრდის ტემპებით. ნამდვილად ვაჟაცურად გაისარჯნენ "ჩვენი მეჩაიენი და მევენახეები, რომელთაც დღემდე არნახული, რეკორდული მოსავალი მოიწიეს.

გულგასახარი მაჩვენებლებია ეკონომიკის სხვა დარგებშიც, კულტურის სფეროშიც. დიდი გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა მშენებლებმა, რომლებმაც ბევრი სიძნელე გადალახეს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის წინ აამოქმედეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი. ამასთან დაკავშირებით მიღებული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეტად ობიელი და გულთადი მოლოცვა არა მარტო მთ, არამედ რესპუბლიკის ყველა მშრომელს ალაფრთოვანებს.

დიახ, მიღწევები ბევრია. ეს შედეგია იმ ზუსტი, პრინციპული და თანამიმდევრული ღონისძიებებისა, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მშენებლობის საკითხებზე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

მშენებლობის მართვის სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის საქალაქო და სხვა პარტიულმა კომიტეტებმა. გაუჭირდნდა მშენებლობათა კადრებით უზრუნველყოფის საქმე.

აი უკვე მეორე წელია ჩვენს რესპუბლიკაში ყოველთვიურად სრულდება საერთო-საიჯრო სამუშაოთა გეგმა. მეოთხედით და უფრო მეტად გაიზარდა ძირითადი ფონდების ამოქმედება მეათე ხუთწლედის პირველ ნახევარში მეცხრე ხუთწლედის ამავე პერიოდთან შედარებით. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, მეტი ყურადღება ეთმობა საწარმოთა რეკონსტრუქციას, მათს გაფართოებასა და ტექნიკურ განახლებას, სულ უფრო მცირდება დაუმთავრებელ მშენებლობათა რიცხვი. სისტემატურად სრულდება საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჯილდანი. ამ ხუთწლედის ტრადიციად მკვიდრდება სკოლების, საავადმყოფოების, სბავშვო ბაღების დროული მშენებლობაც.

ერთი სიტყვით, დღემდე მოგვარებული და გაკეთებული უდიდეს იმედებს იძლევა. ახლა მთავარზე მთავარი ის არის, რომ არ დავსჯერდეთ მიღწეულს, გავაღრმავოთ ეს დადებითი ტენდენციები და მთელი ყურადღება ჩვენს გადაუჭრელ პრობლემებს მივაპყროთ.

ამ ლენინური მითითების ერთგულებით იყო აღსავსე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მთელი მუშაობა და ამიტომაც მან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან, ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციათა, შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა კოლექტივებისაგან მოითხოვა მეტი შემოქმედებითი უნარის, მეტი აქტიურობისა და ინიციატივის გამოჩენა, თითოეული კომუნისტის, მშენებლის და ყველა იმათი პასუხისმგებლობის ამაღლება, რომლებიც მშენებლობის შეკვეთებს ასრულებენ.

რა პრობლემები, რა ამოცანებია გადასაწყვეტი? პლენუმზე მთელი სერიოზულობით ითქვა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის ყველა მაჩვენებელი როდი სრულდება, რომ ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება გამოყოფილი კაპიტალური დაბანდება, რომ მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან მოლიანად არ არის ათვისებული 193 მილიონი მანეთი. ამ მხრივ საყვედურები გაისმა სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროთა, გეოლოგიის სამმართველოს, „ხაქმოთავრნავთობმომარაგებგაბაღების", რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს და სხვა უწყებების მისამართით.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფის, გაუჭრელობების მხრივ. როგორც პლენუმზე აღინიშნა, არაკონკრეტული და საერთოდ არასაკმაოა მშენებლობის სამინისტროს ბევრი ხელმძღვანელი მუშაკის დახმარება მშენებლობებისა და ქვეგანაყოფებისადმი, რომ ისინი ხშირად გატაცებული არიან თათბირებით და ზარალდება ნამდვილი ცოცხალი საქმე.

კაპიტალური მშენებლობის სულ უფრო მზარდი მოცულობა, სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების ზრდა, ბაზის განმტკიცება და განვითარება თავის მხრივ დღის წესრიგში აყენებს საქმის მცოდნე, კვალიფიციური კადრების მომზადების დაჩქარებას, მათი პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებას. ამასთან ერთ-ერთი პირველი რიგის საზრუნავია მშენებელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება.

როცა მშენებლობათა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ შეიძლება შენელდეს ზრუნვა მათი აღზრდისათვის, მათი პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის თავიანთ შრომითს კოლექტივებში მთელი საქმის მდგომარეობისათვის. ყველგან უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ აღიკვეთოს უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა, წამატებანი, ნელდეულისა და მასსლების უყურადღება ხარჯვა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს მშენებლობებზე. საჭიროა ყველგან შეიქმნას სახელმწიფო ქონებისა და სახსრების დატაცებასთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან უმაკერესი, შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფერო.

პლენუმმა წამოაყენა ლოზუნგი: წლევანდელი წელიწადი ბარბატეჩის წლად უნდა ვაკციოთ საბჭოთა მშენებლობისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების დარგში.

სხვა კეთილშობილურ ამოცანებთან ერთად დასახულია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს მთლიანად მოისპოს ჩვენს რესპუბლიკაში ბარაკები და სარდაფი ბინები.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ამ და სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მიაღწიონ მის სანიმუშო ორგანიზაციას, ფართოდ დანერგონ როგორც რესპუბლიკის, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა სამშენებლო კოლექტივების შესანიშნავი ინიციატივა და წამოწყებანი, რომელთა მიზანია მშენებლობის მოცულობის გადიდება, ვადების შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება და საერთოდ მთელი მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა გავაუმჯობესოთ შესრულების შემოწმება და კონტროლი, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი შტაბებისა და მშენებლობებზე სპეციალური საზოგადოებრივი საგუშაგოების როლი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ სამშენებლო და სამონტაჟო ქვეგანაყოფების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ბრიგადები ოფლამად 686-ია. მათში გაერთიანებულია 18.250 კომუნისტი. ეს დიდი ძალაა. დღის წესრიგში დგება ამ პარტიული ორგანიზაციებისადმი ყოველდღიური, უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები, სადაც დელეგატები სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად საქმიანად მსჯელობენ კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის ავ-კარგზე, აყენებენ ამ მხრივ თავიანთ პრაქტიკულ წინადადებებს. საქმის თავიდათავი ის არის, ყველა კონფერენციაზე კრიტიკულად და თვითკრიტიკულად გაანალიზდეს მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები, ყველგან განხილულ იქნეს ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მითითებათა გათვალისწინებით.

პლენუმის მასალების პროპაგანდა გადაუდებელი და საშური საქმეა. საამისოდ უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პროპაგანდისტული და საგიტაციო ძალები. საჭიროა პლენუმის გადაწყვეტილებებს კარგად იცნობდეს რესპუბლიკის ყველა მშრომელი, რომლებიც არიან დაინტერესებული ჩვენი სამშენებლო საქმით. იგი ხომ გულისხმობს ახალ ბეხებსა და სამრეწველო ობიექტებს, ახალ სკოლებსა და საავადმყოფოებს, ახალ საცხოვრებელ კორპუსებს...

კლენუმის გადაწყვეტილებები ვაქციოთ პრაქტიკულ საქმედ! — ასეთია ერთ-ერთი მთავარი სადღეისო ამოცანა.

ზრდიან შრომის ტემპს

დამკვრელური წლის ფინიშზე

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). კამეოლური დართვის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ფართოდ არის ჩამმული ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს.

მეათე ხუთწლედის ვანელილ ორ წელიწადსა და თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით ამ უკვე მილიონ 328 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს.

მარტო მიმდინარე წლის დასაწყისიდან გეგმასთან შედარებით 560 ათასი მანეთით მეტი პროდუქციაა რეალიზებული, ხოლო რაც შეეხება მოლიანი პროდუქციის წარმოების დავალებას — 30 მილიონ 325 ათასი მანეთის 414 ათასი მანეთით გადაჭარბებს.

როგორც ჩვენთან საუბარში ფაბრიკის დირექტორმა თ. ტატანაშვილმა განაცხადა, დამკვრელური წლის ფინიშზე შრომის ტემპმა საწარმოში კიდევ უფრო საგრძნობლად იმატა. მრთველები აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს.

თ. კინწურაშვილი.

დიდი ჯილდო

ჰავანა. მეცხრე კვარტალში მოპოვებული საწარმოო მაჩვენებლებისათვის, როგორც ეს დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა კ. მეჯიდოშვილმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. გიფრინდაშვილმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, დიმიტროველთა შრომას დიდი შეფასება მიეცა. ისინი ბამაჯეგებენ გამოვიდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც პირველ ადგილთან ერთად გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს. („კომ." საკ. კორ.).

ხუთწლედი სამ წელიწადში! — ასეთია ხეთელ მეციტრუსეთა ვალდებულება

ხობი. (საკ. კორ.). კოლხეთის ცენტრში, ხობის რაიონში ყოველწლიურად იზრდება. ციტრუსების მოსავლიანობა. წლეულს არაჩვეულებრივი ამინდები იყო, მაგრამ ხობელებმა 1500 ტონა ციტრუსის დამზადება იკისრეს. ნარინჯების კრეფა კარგა ხანია გაჩაღდა. ყოველდღე დიდძალი ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი იკრიფება.

ხობის საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთში" (დირექტორი — ო. გელოვანი) შვიდოიდე წლის წინათ გააშენეს მანდარინის პლანტაცია, რომელმაც კარგად იხარა, მისი საშუალო მექანარობივი მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება. წელს მეურნეობა ახალგაზრდა პლანტაციებიდან 150 ტონა მანდარინს მოკრეფს და ხახელმწიფოს მიპყიდის.

ხეთის ი. ბ ხტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ე. ბუკია) დღითიდღე სულ უფრო მეტ ციტრუსს იღებს. 150 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობა სახელმწიფოს 220 ტონა მანდარინს მიპყიდის.

ხეთის დაფნისა და ციტრუსების ხაბჭოთა მეურნეობას რაიონის მეურნეობებს შორის ყველაზე მეტი ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი მოპყავს.

— მეათე ხუთწლედში 1143 ტონა ციტრუსი უნდა მიგვეყოლ.— ამბობს მეურნეობის დირექტორი ვახტანგ დოლბაია, — ხუთწლიან გეგმას სამ წელიწადში ვასრულებთ და თანაც 50 ტონის გადაჭარბებით. წელს 226,5 ტონის ნაცვლად 400 ტონა ლიმონს, მანდარინის და ფორთოხლის მივიღებთ. ლიმონის კრეფა დავამთავრეთ. ხაგეგმო 7 ტონის ნაცვლად ხახელმწიფოს 10 ტონა და 700 კილოგრამი მივყიდეთ. მანდარინისა და ფორთოხლის კრეფას 10 დეკემბრისათვის დავამთავრებთ.

სურათზე: ციტრუსებს კრეფენ ხეთის საბჭოთა მეურნეობის მუშები რაია კრავენკო და ტატიანა აკიმოვა, რომლებიც დავალებას ყოველდღიურად 270 პროცენტით ასრულებენ.

თ. ფუტაკარაძის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ტ. ი. კიხელიოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ტიხონ იაკობის ძე კიხელიოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 5 დეკემბერი.

საუბარი კრემლში

4 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მ. ბლუმენტალი და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი ჰ. კრეპსი, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის საკითხთა გაერთიანებული კომისიისა და ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს სხვა-მებში.

გამართული საუბრის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს, კერძოდ იმსჯელეს სავაჭრო-ეკონომიკური დარგის საქმის მდგომარეობის შესახებ. ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის ეკონომიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ბოლო ოცი-ოცდაათ წლის განმავლობაში ფაქტობრივ ნულამდე დავარდა. ეს ეწინააღმდეგება ორივე ქვეყნის ინტერესებს, ეწინააღმდეგება ეპოქის ძირითადი ტენდენციებს, ეწინააღმდეგება ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს, ეწინააღმდეგება ორივე ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ეს ანომალია, ეს ანომალია ეწინააღმდეგება ორივე ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მეგრძოლის ხასიათი

პარტიული ცხოვრება: საქმე, რომელსაც ემსახურეგი

სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ პარტბიუროს მდივანს სოფიკო ცქიმანურს კონფლიქტი აქვს დირექტორთან. ეს რომ მითხრეს, ამხანაგებმა მაშინვე ამიხსნეს შეტაკების არსი.

— რა თქმა უნდა, მათს ურთიერთობაში ყველაფერი რიგზე იქნებოდა, სოფიკო რომ თვალს ხუჭავდეს ადმინისტრაციის უმარეებულო მოქმედებაზე. მაგრამ ცქიმანური ისეთი ქალია, რომ ნაკლოვანებებს ვერ ურიგდება. იგი პრინციპული კომუნისტი, ნამდვილი მებრძოლია.

დიახ, მებრძოლი! რამდენიმე წლის წინათ — მაშინ სოფიკო პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტს თავმჯდომარედ მუშაობდა სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“ — მან გაბედულად გადაჭრით გაილაშქრა სახელმწიფო სკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, პარტიულმა ორგანიზაციამ არ დაუჭირა მას მხარი. მაშინ კომუნისტმა პარტიის კიროვის რაიკომს მიმართა. აქაც ვერ გაუგეს.

ეს რომ დაინახეს, ფაბრიკის ხელმძღვანელებმა, რომელთა მიზეზითაც მოხდა დარღვევები, შეურიეს სოფიკოს. მაგრამ იგი არ შედრკა. კარგად ესმოდა, რომ დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიმტკიცე, ვაჟკაცობა და შეუპოვრობაა საჭირო. იგი მივიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სამეგრელოს დეპუტატთან პროფესორ ს. დურმიშიძესთან, საქალაქო კომიტეტის მდივანთან. ბოლოს და ბოლოს, ფაბრიკაში საფოძვლიანად შეამოწმეს ის ფაქტები, რომლებიც კომუნისტმა აცნობა.

შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიწვია ს. ცქიმანურის პრინციპულობა და შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, ბოროტმოქმედებაში დამნაშავენი დაკრიტიკის ჩამხშობნი მკაცრად დაიხასიათეს.

მალე სოფიკო დაბრუნდა სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“, სადაც მან, სოფლიდან ჩამოსულმა, დაიწყო თავისი შრომითი ცხოვრება, სადაც კოლეგის მკრავის პროფესია, გახდა კომუნისტური შრომის დამკვრელი, პარტიის კიროვის რაიკომის წევრი.

კოლექტივმა იგი გულთბილად მიიღო. ჯერ მკრავად მუშაობდა. შემდეგ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. და აი იგი უკვე პარტბიუროს მდივანია.

ფაბრიკას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ეკონომისტი ნოდარ მოსერიძე. ენერგიულად მოჰკიდა მან ხელი საქმეს. პარტბიუროს მდივანი კი, ცხადია, ეხმარებოდა ხასიათიან ცვლილებების მიღწევაში.

მართალია, ახალგაზრდა ხელმძღვანელს ყველაფერი არ გამოსდიოდა. საწარმოში იქმნებოდა სიძნელეები, ვიწრო ადგილები. უნდა გამოენახათ რეზერვები, ეროვნულად ებრძოლათ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ დირექტორი სხვა გზას დადგა. მას უნდოდა უკეთ წარმოესახა საქმის მდგომარეობა, ვიდრე სინამდვილეში იყო და ურჯულდებოდა წამატებებს, სხვაგვარ ბოროტმოქმედებებს. ყოველივე ამან აღაშფოთა კომუნისტები, და მათაც მოუხშირეს სიარულს თავიანთ მდივანთან: შეწუხებული უამბობდნენ თვალის ახვევის ფაქტებზე, ქურდობის შემთხვევებზე. ცქიმანურმა მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით მუსერიძეს უთხრა, ამგვარ დარღვევებს ვერ შევურიგდებითო. გაიმართა ასეთი დიალოგი:

— მე ვარ აქ დირექტორი და მე ვაგებ პასუხს საწარმოს საქმიანობისათვის.

— პარტბიურო, ყველა კომუნისტი აგრეთვე აგებენ პასუხს კოლექტივში საქმის მდგომარეობისათვის, — შეუსწორა დირექტორს მდივანმა. — დროა ბოლო მოვუღოთ წამატებებს, სხვა ნეგატიური მოვლენებს.

— ამდაგვარი არაფერი არ ხდება ფაბრიკაში, თქვენ გეჩვენებათ!

პარტბიურომ ზედმიწევნით შეისწავლა საგანლები წამატებათა შესახებ. ისინი მთლიანად დადასტურდა. თითქოსდა, ახლა მუსერიძეს სხვა თვალით უნდა შეეხედა რეალური ფაქტებისათვის. მან კი კვლავ იუკადრისა:

— მე ვარ აქ დირექტორი...

ცქიმანურმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს მიმართა. შემოწმება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ითავა. მინისტრმა გ. გამცემლიძემ მალე გამოსცა ბრძანება. იქ პირდაპირ იყო აღნიშნული: „დადგენილია, რომ სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ ხელმძღვანელობა ზემდგომ ორგანოებს წარუდგენდა ყალბ ცნობებს ზზა პროდუქციის რეალიზაციის საგებმო დავალებათა შესრულების შესახებ“. წამატება თორმეტ პროცენტს აღწევდა. შემდეგ ბრძანებაში ლაპარაკი იყო ფაბრიკის ურიტმო მუშაობაზე, კადრების დიდ დენადობაზე და ა. შ. გამოტანილი იყო შესაბამისი ორგანიზაციული დასკვნები. მთავარ ინჟინერს პ. ოსპიბშვილს გამოეცხადა საყვედური, დირექტორს ნ. მუსერიძეს— სახტიკი საყვედური გაფრთხილებით. ამასთან მინისტრი თავის ბრძანებაში ხაზგასმით აღნიშნავდა: მუსერიძე თანამდებობიდან განთავისუფლებას იმსახურებს, მაგრამ, გაითვალისწინეს რა, რომ ეს ხელმძღვანელი ახალგაზრდაა და მან მოინანია დანაშაული, გადაწყვიტეს დასჯერებოდნენ სახჯელს დადებას.

დირექტორმა ხელოვნურად გაზარდა მაჩვენებლები გეგმების შესრულების შესახებ, რითაც უზრუნველყო პრემია საწარმოსათვის. როცა ეს პარტბიუროს მდივნის სიმტკიცისა და უკომპრომისობის წყალობით აშკარა გახდა, როცა გამომეყღავნდა ტუუილი, ფაბრიკაში ბევრმა დაკარგა დაუმსახურებლად დარიცხული მატერიალური ჯილდო. ჰოდა, დაიწყო კოლექტივში მოთქმა-მოთქმა: „ყველაფერში ცქიმანურია დამნაშავე. მისი ბრალია, რომ პრემია ხელიდან გაგვიფრინდაო!“.

ეს მოთქმა-მოთქმა, რასაკვირველია, ეწყინა სოფიკოს. მაგრამ თავისი პოზიცია არ შეუცვლია. ამხანაგებთან — ბიუროს წევრებთან. საამქრო პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას საქმის გაუმჯობესებისათვის.

ერთი წლის წინათ პარტბიუროს მდივანმა, საანგარიშო-საარჩევნო კრებისათვის რომ ემზადებოდა, გაოაწყვიტა გაეანალიზებინა ხარვეზების მიზეზები. კონკრეტულად დაესახელებინა დანაშავენი. ასეთი მიდგომა ნაკარნახევი იყო სოფიკოს იმ დიდი სურვილით, რომ რაც შეიძლება მალე ადმოეფხვრა ყოველივე ეს და თავიდან აეცილებინა მომავალში. ეგონა, დირექტორი გაგებით მოეკიდებოდა იმას, რომ ცქიმანურმა დაუკმაყოფილებელი, მკაცრი თვალით შეხედა საწარმოს და პარტორგანიზაციის მუშაობას. საქმის მდგომარეობის მომთხოვნი ანალიზი ყოველთვის უწყობს ხელს სამეურნეო ამოცანათა უფრო წარმატებით გადაწყვეტას. მაგრამ, როცა პარტბიუროს წევრი მუსერიძე მოხსენებას გაეცნო, განაცხადა:

— პასკვილია!

ამაოდ ცდილობდა ცქიმანაური დაერწმუნებინა დირექტორი, რომ არსებულ მიდგომაზეა გარდა, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე საჭირო მთავარი ყურადღება დაეთმოს გადაუჭრელ პრობლემებს, ნაკლოვანებათა კრიტიკას. მუსერიძეს ერთი და იგივე დაეკვნა: „მოხსენება კი არა, პასკვილია!“.

დირექტორის მკაცრი გამოხდომა რომ შენიშნეს, პარტბიუროს ზოგიერთი სხვა წევრი შეეშინდა. მოხსენება არ დაამტკიცეს...

როგორ უნდა მოქცეულიყო ესოდენ მწვავე სიტუაციაში? გადაენცვლებინა აქცენტები მოხსენებაში? მაგრამ ეს ხომ ცოდვა იქნებოდა ბეშმარიტების წინააღმდეგ, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ყალბი ტონი მისცე საანგარიშო-საარჩევნო კრებას, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კოლექტიური მუშაობის დათვალიერებას.

სოფიკო პარტიის რაიკომში მივიდა.

ეაშ ასე, ერთმანეთს შეეჯახა მდივანსა და დირექტორის აზრი. ხდება ხოლმე ასეთი რამ ცხოვრებაში. როგორ წყდება ზოგჯერ ამგვარი კონფლიქტები? რაიკომში უსიტყვოდ უბერენ მხარს სამეურნეო ხელმძღვანელს, აქოდა, მისი ავტორიტეტი არ შეილახოსო. მაგრამ აქ სხვაგვარად მოხდა. ფაბრიკაში მივიდა კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ნეფედოვი. ესაუბრა პარტბიუროს ყველა წევრს. წაიკითხა მოხსენების პროექტი. ურჩია უმნიშვნელო შესწორებანი შეეტანათ მასში.

— საერთოდ კი, დარწმუნებული ვარ, სწორი კილოა მიგნებული. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ნამდვილად პარტიული მიდგომა.

კრებამ საინტერესოდ ჩაიარა, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა პარტორგანიზაციის, მთელი კოლექტივის ცხოვრებაში.

კომუნისტები და უპარტიოები, რომლებიც დარწმუნდნენ მდივნის მაღალ პრინციპულობაში, იმაში, თუ რა ეფექტიანია საქმისადმი კრიტიკული მიდგომა, სულ უფრო გადაჭრით ამხილებდნენ ნაკლოვანებებს, აღნიშნავდნენ წარმოების რეზერვებს. მიდიოდნენ პარტბიუროში, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ იქ გაუგებდნენ და მხარს დაუჭერდნენ.

ხალხი ხედავს კოლექტივის ინტერესებისადმი სოფიკოს გულწრფელ ერთგულებას. ვისაც კი გამოელაპარაკები აქ, ყველას მოჰყავს ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი. კერძოდ. ასეთი. ორთ-ერთ საამქროში ჩაიშალა მუშაობა. შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა მთლიანად საწარმოს მიერ აღებული შესრულებას. ამხანაგები მივიდნენ პარტბიუროში, გამოთქვეს შეშფოთება. ცქიმანურს კი ის-აი იყო შვებულება გაეფორმებინა. მან უარი თქვა დახვენებაზე. თითქმის ერთი თვე გაატარა ჩამორჩენილ საამქროში, სადაც მკერავად იმუშავა. ამხანაგებთან ერთად დაძლია დიდმნიშვნელოვანი უბნის ჩამორჩენა.

ახლახან ცოლად გაიმართა „ამირანის“ კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრება. ორატორები აღელვებით ლაპარაკობდნენ მორიგ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაზე უნდა იმუშაონ, ლაპარაკობდნენ ახალ ამოცანებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები ბევრ რამეს ავალებს თითოეულ კომუნისტს. აქაც, ფაბრიკაში. აქვთ თავიანთი ადგილდებელი საზრუნავი. ზოგჯერ საწარმო ურიტმოდ მუშაობს, ჯერ კიდევ ოდენა რეალიზაციების რიცხვი. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული პარტორგანიზაციაზე, მის მდივანზე. ...[illegible] მდივნედობაში ჰქონდათ, რომ ენერგიული, მოუსვენარი და შეუპოვარი სოფიკო ცქიმანური ოდესაც იქნება ნამდვილი ორგანიზატორი, კოლექტივის კეთილ საქმეთა წამომწყები.

მტკიცე ავტორიტეტი აქვს სოფიკოს! იგი მან მოიპოვა საქმეთ, რომელსაც ერთგულად და პატიოსნად ემსახურება. და შემთხვევითი არ არის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოსული ახალგაზრდა ქოხეთდება და ეუბნება კორესპონდენტს, მიჭირს, ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეო. პასუხად სოფიკო ცქიმანურის ამბავს ვუამბობ ხოლმე. მასაც ძალიან უჭირდა და ახლაც უჭირს ხოლმე. მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება.

გ. ლებანიძე.
(„პრავდის“ კორ.).
ქ. თბილისი.

„პრავდა“, 5-XII-78 წ.

შრომის ვახტზე

ბილისური ამრეშუმის ქსოვილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში იგზავნება და ყველგან მოწონებით სარგებლობს. თბილისის ამრეშუმის საწარმოო გაერთიანება 21 ახალხელბის ქსოვილს უშვებს. მათგან 13-ს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული.

იმათ შორის, ვინც სათავეში ედგას ამ მოძრაობას, ახალხელმენ მოწონიან ქსოვილს, კომკავშირელს ლამარა ახალაძეს. იგი უკვე ხუთწლიდის მეთოთხე წლის ანგარიშში შრომობს.

ფ. ეგინოვის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბილისის მუსიკალურ-კლავიშიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ახალ პიანინოს „ივერიას“ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

ფაბრიკაში დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული მალალკვალიფიციურ ოსტატს ანზორ მეტონიძეს. „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი მეოთხედი საუკუნეა საყვარელ საქმეს ემსახურება.

სურათზე: ანზორ მეტონიძე აწყობს „ივერიას“.

ა. კაპანაძის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პასუხისმგებლობის საფეხურები

ტრიბუნა — ინფორმაციები — ინფორმაციებ-ვრცელვნენი

რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრის, მეშახტეთა ქალაქის — ტყვარჩელის ამ უკანასკნელი სამი წლის ეკონომიკური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, ისინი ასე გამოიყურება: ქალაქის ყველა საწარმომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ორი წლისა და 11 თვის გეგმა 104.2 პროცენტით შეასრულა; დაკალების გადამეტებით მოპოვებულია 72 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოშვებულია 46 ათასი ტონა კოქსკონცენტრატი, გამომუშავებულია 3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია; შრომის ნაყოფიერება სამრეწველო საწარმოებში გაიზარდა 4,5 პროცენტით. საკავშირო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი. მან უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს — 12 პროცენტს მიაღწია.

შედეგები ოთხოდ თვალსაჩინოა, და თუ ამ ციფრების მიღმა ჩაიხედავთ, არ შეიძლება არ დაინახოთ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზების მიზანდასახული ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული მუშაობა, რომელსაც თან სდევდა, როგორც ლოგიკური შედეგი, საწარმოო კოლექტივების, ყველა მშრომელის ენთუზიაზმი რესპუბლიკის საერთო მეურნეობაში საკავშირო წესითაა ნაბიჯი.

მაგრამ ქალაქს აქვს განვითარების არანაკლებ შთამბეჭდავი პერსპექტივები. რომლებსაც საფუძველად უდევს ყველა ცენტრალური კომიტეტისა და სსრ ავტონომიის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ისტორიული დადგენილებები აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და ულტურის შემდგომი განვითარების თაობაზე.

კერძოდ, ტყვარჩელში თბილა აშენდეს ელექტრული ნაწარმის ქარხანა, რომელიც წელიწადში 60 მილიონ ცალ პირობით ავურს გამოუშვებს, აიგება საცხოვრებელი სახლები, ელექტროგენერატორ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტები, და თუ ამას ადგილმატებთ იმასაც, რომ ტყვარჩელის მიდამოებში ენერგეტიკა ქვანახშირის ახალი მარაგი 10 მილიონამდე ტონის ოდენობით, რაც ქალაქის მომავალს კვლავ მეტადრეც აკავშირებს ძირითადი ენერგეტიკული ნედლეულის მოპოვებასთან, ნათელი გახდება, რასთან თანთან ადმშენებლობითი და შემოქმედებითი შრომის ასპარეზი იშლება ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, აქტიური მეშახტეთა კოსტალ, თითოეული მშრომელის წინაშე.

როგორი იყო მიღწეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებამდე საკავალი გზები, რა ნაკლოვანებები იყო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში, სად არის ის რეზერვები, რომელთა გამოვლენა-ამოქმედება უზრუნველყოფს მომავლის პასუხსაგებ ამოცანათა წარმატებით შესრულებას?

ეი იმ საკითხების წრე, რომელთა შესახებაც პრინციპული, საქმიანი მსჯელობისათვის შეიკრიბნენ თავიანთ XXII კონფერენციაზე ტყვარჩელელი კომუნისტები — მეშახტეები, ქვანახშირგამამდიდრებლები, ენერგეტიკოსები, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მეშაკები. საწარმო-დაწესებულებათა მოსამსახურეები.

როგორც პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ავიძბა, ისე კამათში გამოსული დელეგატები—ლაკობას სახელობის შახტასამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი ს. თარბა, ლენინის სახელობის შახტასამმართველოს უფროსი შ. ყურაშვილი, № 2 შახტის გამყვანთა ბრიგადირი ვ. ფასნოვი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. უჩანეიშვილი და სხვები, ქალაქის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების გაანალიზებისას ერთერთ შემაშფოთებელ და დამფიქრებელ ფაქტორად ასახელებდნენ ქალაქის საწარმოებში კადრების დენადობის ზრდის ტენდენციას.

კონფერენციაზე დაასახელეს კონკრეტული ციფრებიც: საანგარიშო პერიოდში საწარმოებიდან გათავისუფლებულია 2,937 კაცი, მათ შორის 1200 — პირადი. განცხადებით, ახლად მიღებულია

ტყვარჩელის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

2504, რაც მთლიანად მომუშავეთა თითქმის ერთ მესამედს შეადგენს.

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ადრეული მიზეზების ძიებას. კონფერენციაზე ჰირდაპირ ითქვა, რომ ქალაქის მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, განსაკუთრებით შახტებში, კლავ მწვავე პრობლემად რჩება შრომის ნორმალური პირობების უქონლობა, თითქმის ყველა დიდ საწარმოში შეიქმნა დირექტორის მოადგილის, სპეციალური შ. ხი, რომელსაც ევალებათ ყოველდღიური ზრუნვა მუშათა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ისინი ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას.

ხშირია შემთხვევები, როცა მეშახტეთა თუ სხვა პროფესიის მუშათა მოთხოვნებს გულგრილად ეკიდებიან პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელები, ნაკლებად ინტერესდებიან მათი შრომის თუ საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით, და შედეგიც არ ყოვნებს — ბევრი გულგატეხილი მუშა ქალაქს, ტოვებს და სხვაგან ეძებს სამუშაოს. სწორეა ასეთ მიზეზთა გამო შეიქმნა მეშახტეთა ნაკლებობა, მაგალითად. № 6 შახტში, რაზეც გულისტკივილით ლაპარაკობდა ამავე შახტის № 3 უბნის პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ბერგაია.

მეშახტეთა განთავისუფლის არანაკლები ფაქტორია შახტებში შრომის დაცვისადმი, უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებისადმი პარტორგანიზაციების ყურადღების, მოდუნება. სწორედ სუსტი პარტიული დისციპლინა. უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურის მუშაკებისადმი ნამდვილი პარტიული მომთხოვნელობის ოქონლობით აიხსნება ავარიები, ლენინის სახელობის შახტასამმართველოს, № 6 და № 8 შახტებში რომ მოხდა, რომლებმაც განუზომელი ფსიქოლოგიური ტრავმა და ეკონომიკური ზარალი მიაყენა მეშახტეთა მთელ კოლექტივს, მთელ ქალაქს. გარდა ადამიანური ტრაგედიისა, ეს ავარიებ ფაქტი, რომ უბანზე, სადაც ავარიებია მოხდა, თვით კომუნისტებმა დაარღვიეს უსაფრთხოების ტექნიკის წესები. ერთმანეთ, ამ სამ ავარიის ფონზე, ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნები რომ არ არის გამოტანილი, ამას ისიც მოწმობს, რომ სამმართველოს ადმინისტრაციამ მომხდარი შემთხვევის შემდეგ არაერთხელ აღმოაჩინა შახტებში დარღვევები, რომლებსაც შეიძლებოდა ტრაგიკული შედეგები მოჰყოლოდა.

ტყვარჩელელ მეშახტეებს, ენერგეტიკოსებს, ყველა მშრომელს წლების მანძილზე სერიოზული პრეტენზიები აქვთ მუშათა მომარაგების განყოფილებისადმი, ეს კონფერენციამაც დაადასტურა. მაგრამ მდგომარეობა ამ უკანასკნელ ხანს გაუმჯობესების ნაცვლად, პირიქით, უარესდება. მისი საქონელბრუნვის, გეგმის შესრულებასაც რეალური საფრთხე ექმნება. საქმის ვერ შეიტოს განყოფილების ხელმძღვანელობის გაუთავებელი თავის მართლება, თითქოს, ვაჭრობის დაბალი დონე, მშრომელთა უკმაყოფილება გამოყოფილი ფონდებით ,,ეთვნილი საქონლის მიუღებლობით (რაზეც განყოფილების უფროსი ი. აჩბა თავის გამოსვლაშიც ლაპარაკობდა) ან ქალაქის ხელთასრ ფონდსა და საქონლებრუნვის გეგმას შორის არსებული დისპროპორციით იყოს გამოწვეული.

გარა ფაქტი არ არის, რომ მეშახტეები, მშენებლები თუ ენერგეტიკოსები იძულებული არიან სხვა დასახლებულ პუნქტებში ეძებონ მათთვის საჭირო საქონელი? ამას, ცხადია, განაპირობებს ქალაქის მაღაზიებში არსებული საქონლის ლარიბი ასორტიმენტი, მომხმარებელთა მოთხოვნილებებით დაუინტერესებლობა. ეს საკითხები კი რაზომოც დღემდე არ გამხდარა მუშათა მომარაგების განყოფილების პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების, მისი ხელმძღვანელობის პრინციპული მსჯელობის საგანი.

შახტების ადმინისტრაციასა და მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელობას შორის შეუთანხმებლობის გამო ვერა და ვერ მოხერხდა მეშახტეთა ძვირფასი კერძებით უშუალოდ სამუშაო ადგილებზე — შახტებში.

სადღეისო მოთხოვნებს არ შეესაბამება ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონეც. მართალია, ამ ბოლო წლებში გაფართოდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — აიგო ახალი საყოფაცხოვრებო სახლი, განახლდა მუშათა დასახლებებში არსებული სახელოსნოები, მაგრამ მომსახურების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, სუსტად ინერგება მომსახურების ახალი სახეები. მათი რაოდენობის მიხედვით ტყვარჩელის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს, ეერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამმართველოს პარტორგანიზაციის შემგუებლური პოზიცია მუშაობის ისეთი პრინციპისადმი, როგორიც არის გეგმის ნებისმიერი გზით შესრულება.

როგორც ვაჭრობის, ისე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სოციალისტური კანონიერების დარღვევის, მომხმარებელთა მოტყუების. ბამოძალვის ფაქტები, რაც მშრომელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ამ ერთი წლის წინათ პარტიის საქალაქო, კომიტეტთან შეიქმნა ეკონომისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზი დარღვევების და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისია. მაგრამ მთელი მისი მუშაობა (უფრო სწორად უმოქმედობა) საანგარიშო მოხსენებაში მხოლოდ მეტისმეტი თვითკრიტიკით გამოიხატა.

იმის ნაცვლად, რომ კონფერენციაზე დამსწრე კომუნისტებისათვის კომისიის მიერ განხორციელებული ოფლდაც ერთი ღონისძიება გაეცნოთ და ემსჯელათ კომისიის საქმიანობის ამკარგზე, ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, რომ „კომისია ჯერჯერობით გაუბედავად მოქმედებს, ღრმად ვერ სწვდება განსახილველი საკითხების არსს, ზოგიერთი ისინი განიხილება როგორც შემოხვევითი მოვლენა. ამიტომ კომისიის წევრები ზედაპირულ სწავლობენ ფაქტებს და პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ მათ“. ჩვენი აზრით, ასეთი თვითკრიტიკა კრიტიკისაგან თავის დაზღვევის მიზნით, საქმეს ბეჯს ვერაფერს არგებს.

კონფერენციაზე აღინიშნა ის ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც ახლდა პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მუშაობას მასების კომუნისტური და ინტერნაციონალისტური აღზრდის დარგში და რომლებმაც განსაკუთრებით თავი იჩინა მიმდინარე წლის შემოდგომაზე ტყვარჩელის სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, თბოელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს მოიკარე ორგანიზაციებსა და ზოგიერთ მეშახტეს.

ჩვენი პარტიის უმაღლესი მიზანია საბჭოთა ადამიანებზე განუხრელი ზრუნვა, მათი კეთილდღეობის დღენიადაგ გაუმჯობესება და მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, სწორედ ეს არის თითოეული პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი უბანი — კონფერენციის მონაწილეთა ეს განაწესი მკაფიოდ აისახა მიღებულ რეზოლუციაში.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ტ. ლორთქიფანიძემ.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის, მისი სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXIV კონფერენციის დელეგატები.

გ. სამსონაძე,
ი. გოგბეჩია.

ᲥᲠᲘᲢ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲛᲠᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ!

სინდისი ჩალის ფასად

დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოთ მუქთახორობას, საზოგადოების ხორცმეტებს

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ნეგატიური მოვლენების, მუქთახორების, უქნარებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის სხვა დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა, ზოგიერთ უწყებაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ ყურადღება ექცევა იმათ წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას და შემოსავლის „სკუთარ“ წყაროს ეძებს.

ამას წინათ სამტრედიის რაიონის კულაშის სახალხო დეპუტატთა სადგმო საბჭოს აღმასკომს ვეწვეთ. მისი ახალგაზრდა თავმჯდომარე ო. მეგრელიშვილი გვესაუბრა იმ დონისძიებებზე, რომლებსაც აღმასკომი, სოფლის აქტივი, დეპუტატები ახორციელებენ მუქთახორობისა და უქნარობის წინააღმდეგ. მარტო მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთთვიურის მოწყობის პერიოდში ბევრი უქნარა ჩაბეს საზოგადოებრივ შრომაში, ზოგიერთების მიმართ კი სასჯელის სხვადასხვა ზომა გამოიყენეს. როგორც ადგილზე ვითარების გაცნობამ ცხადყო, კულაშელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწევა. ბევრი წარჩინებული ოჯახიანთ ამაყობს დაბა და რაიონი. ესენი არიან კულაშის საქსოვი ფაბრიკის მოწინავენი: მარგო ქაშბაძე, მზია ახვლედიანი, მაგდა მეკოლაშვილი, ნოდარ არველაძე, რუთო ბატონიაშვილი და სხვები, რომლებიც ალალი და გამრჯე შრომით ორმაგად და სამმაგად ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს.

მაგრამ მათ გვერდით ჯერ კიდევ ბოგინობენ საზოგადოების ხორცმეტები, რომლებიც შრომას თავს არიდებენ და მზად არიან „სული ეშმაკს მიჰყიდონ“.

კულაშის მკვდრთ გიორგი ბუსკიკეაძეს, ავთანდილ პირტახიას, ავთანდილ გელაშვილს და სხვებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის გაგონებაც არ სურთ, ისინი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სიარულს ამჯობინებენ „დიდი ფულის“ საშოვნელად, ხოლო შოთა შიმშილაშვილი, თეიმურაზ მამაგეიშვილი, რობერტ ფანცულაია და სხვები მოკალათებული არიან დაბა კულაშის ცენტრში და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან საზოგადოების ხარჯზე.

სოფელ გომის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მძლავრია სამტრედიის რაიონში. შრომისმოყვარე ხალხია გომელები. რაიონში ვინ არ იცნობს გიორგი ჩაჩუას, რომელმაც ჰექტარზე 90 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ან კიდევ მოწინავე მეცხოველეებს ცოლ-ქმარ ნადია და ლავრეტი ნადირაძეებს, წარჩინებული მებოსტნის მიშა ქიმუცაძის ოჯახის წევრებს და სხვა მრავალთ, რომლებიც სარეკორდო მოსავალს იღებენ. ერთი სიტყვით, სოფელში ბევრი მოწინავე საზელოვანი ადამიანი შრომობს, რომლებმაც ეადგზე ადრე შეასრულეს ხუთწლედის დავალებანი, მაგრამ გვა საკმარისია ის, რომ მარტო შენ იყო მოწინავე, დაავალეს წარმატებით ირთმევედ თავს? თითოეული ჩვენგანი მოვალეა გულგრილად არ უყურებდეს გვერდს ჩამორჩენილს, უქნარას, ბიმამას, ვინც ცდილობს ხელი მოითბოს ჩვენი შრომითი შემოსავლის თუ დანაზოგის ხარჯზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი ასე მსჯელობს, როგორ ვეუთხრა სძრახისი სიტყვა, რაც უნდა იყოს შეზობელია, დამემდურებაო.

აბა რა მოსარიდებელია, გომში ყველასათვის ცნობილი საქმოსნები ძმები თენგიზ და ალოიზ ჭინჭარაძეები, რომლებსაც 0,5 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი აქვთ, ყოველწლიურად დიდძალი ხილი გააქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და იქ მამასისხლად ჰყიდიან. მშობლიურ მეურნეობაში შრომას გაურბიან, ამაოდ დროს კი მეურნეობის მთელი სიკეთით სარგებლობენ.

ნიკოლოზ ჩაჩუა სათოფეზე არ ეკარება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, აუკიდებია ხელოსნის „საკუთრეელი“ და კარდაკარ დაეხეტება, ერთ სახლებს აშენებს და ჯიბეს ისქელებს. ასევე ითქმის ალეკსანდრე თევზაძის მიმართაც, რ მელმაც სახლების კერძო მშენებლობის მიჰყო ხელი და „ტყავს აძრობს“ მუშტრებს. ისინი ბევრჯერ გაფრთხილეს, პატიოსან შრომას, მშობლიურ მეურნეობას დაუბრუნდითო, მაგრამ ამაოდ.

მეურნეობაში შრომას „თაკილობენ“ სოფელში ცნობილი უქნარები ვალოდი მეგენეიშვილი და ჭიჭიკო გოგიშვილი, სამაგიეროდ ისინი გაწაფული არიან სპეკულაციაში, იღები შემოსავლის მაძიებელები ამას წინათ სწორედ „საშოვარზე“ დაკავეს.

საერთაშორისო სლოვაჯა

მკაცრი პროტესტი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნოტა

სოფია, 5 დეკემბერი. (საკვლისი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. მლადენოვმა ეგვიპტის ელჩს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გადასცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნოტა, რომელშიც გამოთქმულია მკაცრი პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ 4 დეკემბერს ბულგარეთის კაიროს საელჩოში ძალით შეიჭრნენ ეგვიპტის პოლიცია და ჯარის ქვეგანაყოფები, რომლებმაც მოახდინეს საელჩოს შენობის ოკუპაცია. ეს აქცია ნოტაში დახასიათებულია როგორც საერთაშორისო ურთიერთობასა და დიპლომატიურ პრაქტიკაში უპრეცედენტო.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ეგვიპტის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყოფს ბულგარელი მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების უშიშროება. უფრო მეტიც, შეიარაღებული შეჭრის შედეგსაც ძალადური შეჭრის შედეგად დააკავეს ელჩი და შენობაში მყოფი მოსამსახურეები, შეაგრიეს კარი და გატეხეს საწერი მაგიდები, უკანონოდ გაჩხრიკეს საელჩოს ყველა სათავსი.

ეგვიპტის ხელისუფალთა მოქმედებამ შეუძლებელი გახადა ბულგარეთის დიპლომატიური მისიის შემდგომი ნორმალური მუშაობა ეგვიპტეში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გაიწვია თავისი ელჩი და საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა ეგვიპტიდან.

ეგვიპტის ელჩსა და ეგვიპტის საელჩოს დიპლომატიურ შემადგენლობას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ნინადადება მიეცა ხუთ დღის ვადაში დატოვოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია.

კაირო, 5 დეკემბერი. (საკვლისი). ეგვიპტის პრესა იუწყება, რომ ანტიბულგარული აქცია პრეზიდენტ სადათის მითითებით განხორციელდა.

იგივე პრესა აგრეთვე წერს, რომ ბულგარეთის კაიროს საელჩოს შენობა და ტერატორია კვლავინდებურად ეგვიპტის პოლიციისა და უშიშროების ჯარების ხელთ არის.

ჯ. კარტერის ინტერვიუ

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკვლისი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ინტერვიუ მისცა მთელი რიგი ამერიკული გაზეთების რედაქტორებს. პრეზიდენტმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ შეერთებული შტატები განაგრძობს მეცადინეობას, რათა მიაღწიოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების დამთავრებას საბჭოთა კავშირთან, თქვა:

„ჩვენ ახლა ბევრად უფრო ახლოს ვართ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დადებასთან, ვიდრე წინათ. ჩემი აზრით, ჩვენ შევდით მოლაპარაკების უკანასკნელ ფაზებში. დღეისათვის მე ვერ ვხედავ რამე დაბრკოლებას აღნიშნული შეთანხმების მალე დადების გზაზე“.

შემდეგ ჯ. კარტერმა აღნიშნა, რომ საკითხებს, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, უაღრესად გულდასმით სწავლობენ.

პრეზიდენტს საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ახლო მომავალში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა უმაღლეს დონეზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მიზნით.

ჯ. კარტერს მისცეს მთელი რიგი კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი და ეგვიპტე ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატების შუამავლობით დაიჩქარონ სეპარატული ხელშეკრულების ხელმოწერა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, იგი იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ კემპ-დევიდის თათბირის შემდეგ თითქმის არ მომხდარა ძვრა ხელშეკრულების ტექსტისა და ყველა იმ დოკუმენტის შედგენაში, რომლებიც მას უნდა დაერთოს. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ ჯერ კიდევ „არ კარგავს იმედს“, რომ ხელშეკრულება დაიდება.

ახალ ავღანეთში

ქაბული, 5 დეკემბერი. (საკვლისი). ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში საქმიანი აქტიურობის ვითარება სუფევს: დილაადრიან ქალაქში ისმის ფაბრიკა-ქარხნების საყვირის ხმა, რომელიც შრომითი ღღის დაწყებას იუწყება. ათასობით მუშა, ხელოსანი, ვაჭარი, სახელმწიფო ნოსამსახურე, მოწაფე ახალგაზრდა სამუშაო ადგილზე მიიჩქარის.

1978 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა რესპუბლიკა დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გზას, საგარეო პოლიტიკის დარგში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მიუმხრობლობის, პოზიტიური ნეიტრალიტეტისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ერგგულია. იგი განამტკიცებს ურთიერთობას ყველა მეგობარ ქვეყანასთან. „ჩვენ ვიღებენთ საყოველთაო განიარაღებისათვის, სხვათა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. დემოკრატიული ავღანეთი მხარს უჭერს აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, იბრძვის ყოველივარი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ“, — ხაზგასმით აღნიშნა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ნ. მ. თარაკიმ თავის ერთ-ერთ განცხადებაში.

რევოლუციის დროიდან განვლილ მოკლე პერიოდში ავღანეთის მთავრობამ და სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელეს ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მუშათა პროფკავშირების, სხვა მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესების, უწიგნურობის ლიკვიდაციის, სოფლად გლეხთა კოოპერატივების შექმნის, მოსახლეობის კულტურულ დონის ამაღლების, ავღანეთში მცხოვრებ მცირე ეროვნებათა პრობლემების გადაჭრის ღონისძიებანი.

მაგრამ ავღანეთში უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანად მიაჩნიათ აგრარული საკითხის გადაწყვეტა. „ბიწის რეფორმის რესპუბლიკისათვის სხვათა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. დემოკრატიული ავღანეთი მხარს უჭერს აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, იბრძვის ყოველივარი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ“, — ხაზგასმით აღნიშნა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ნ. მ. თარაკიმ.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციურმა საბჭომ, იგი მიზნად ისახავს მოსკოს ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები, განამტკიცოს მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობა. დეკრეტის დამტკიცება აქ მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან მოღვაწედ ქვეყნის სახოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებს რაზმავს აზალი ცხოვრების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ფართოვდება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის თანამშრომლობა, ავღანეთის დიდ დამპრავებას უწევს საბჭოთა კავშირი. მისი ეკონომიკური და ტექნიკური ხელშეწყობით აქ აშენდა და შენდება მსხვილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ეკონომიკის განვითარებისათვის. მათ შორის არის მაზარი-შარიფის აზოტიანი სასუქების ქარხანა, ქაბულის სახლთაშენებელი კომბინატი, ნანგარჰარის პროვინციის საირიგაციო კომპლექსი, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სადაც სპეციალისტთა ეროვნულ კადრებს ამზადებენ.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობა მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზეა დაფუძნებული. ნ. მ. თარაკის ახლანდელი ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში, როგორც აქ აღინშნავენ, უდავოდ ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ორი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

მასობრივად ითხოვენ სამუშაოდან

რომი. იტალიის ქალაქ კალიარში (სარდინია) სამუშაოდან მოხსნეს ქიმიური ქარხანა „რუმიანიის“ 650 მუშა. შემდგომი ორშაბათიდან კიდევ 550 მუშა იძულებული გახდება შინ დარჩეს. ქარხნის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ უახლოეს დროში იგი გამოაცხადებს წარმოების შეკვეცას.

ეხმარებოდნენ რასისტებს

ვაშინგტონი. აქ განაახლეს გამოძიება საკითხისა ამერიკის კომპანიების „მობილ ოილის“ და „კალტექსის“ მიერ როდეზიისათვის ნავთობის მიწოდების შესახებ. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო.

როდეზიას ნავთობს აწვდიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების წინააღმდეგ.

გაიფიცნენ...

ქანბერა. დღეს ავსტრალიაში დაიწყო სახმელეთო პერსონალის, მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვა, რომელიც მომსახურებას უწევს ავსტრალიის აეროპორტების საშინაო და საერთაშორისო ხაზებს.

გენერლებმა ითათბირეს

ბრიუსელი. ევროპაში (ბრიუსელის მახლობლად) დამთავრდა ნატოს ევროპის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. ამ შეხვედრით დაიწყო ბლოკის უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირები, რომლებიც ზამთრის ატლანტიკური კვირეულის ფარგლებში მიმდინარეობს.

ჰეშმარიტი რეალიზმის გზით

ალექსანდრე ქუთათელის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

ალექსანდრე ქუთათელი, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, ნამდვილი განსახიერებაა ქართული უშუალობისა, გულადობისა და სილაღისა. ბავშვობის წლებიდან იგი თბილისში, ეერის უბანში იზრდებოდა, და აქ გარემომ თავიდან ერი სამუდამოდ დაანათლა მის ხასიათს. ამიტომაც წერდა ის თავის ერთ ლექსში: „თბილისში ისე დავდიკარ, თითქოს ისევე ყანდი ვარ, ჯერ უწვერული ჭაბუკი, მანატრებელი ქარბუქის... გამიცვეთია ქალაქის ყოველი ქუჩა-ალაგი, დიდუბე, მამადავითი, თავგორი მაღალ თავითა... მერე ქვეყანას ეღირსა, გმირნი შეკრება ნალარამ, და თუმც შემდება ბაღარამ, ძველი ეტრატის ფერფლისფრად, თბილისში ისე დავდივარ, თითქოსდა ისევ ყანდი ვარ“. დიახ, ეს თბილისური სილაღე მუდამ შერჩენია მას, თუმცა-და, ცხოვრების გრძელ გზაზე, გავლილი ოთხმოცი წლის მანძილზე, ბევრი დარღი უნახავს, ტრაგიკული წუთებიც განუცდია, ბევრი ახლობელი ცრემლით გაუცლებია ამ წუთისოფლიდან, მაგრამ მუდამ ახსოვდა, რომ კაცი დარდს არ უნდა დანებდეს და არ დაეჩაგვრინოს.

პოეტი პირველადმომჩენია ქვეყნის სილამაზისა, და ეი ეს დიდი გრძნობა, საფუძვლად რომ უდევს სამყაროს ესთეტიკურ ხილვას — არის პირველი, რითაც იწყებს პოეტი თავის გზას, თავის შემოქმედებითს ბიოგრაფიას. ასე დაიწყო თავისი გზა ალექსანდრე ქუთათელმაც, დაიწყო შფოთიან და მრისხანე წლებში, გარდატეხიანი წლებში; 1919 წელს ოცდაერთი წლის ჭაბუკი-პოეტი აქვეყნებს თავის პირველ ლექსს, რომელიც აღსავსეა დიდი გაბაფხულის მოახლოების წინათგრძნობით და გამსჭვალულია სამშობლოს სლამაზისადმი ტრფიალის უწმინდესი გრძნობით:

დღეს მერცხალმა შეაქო
ლურჯ რიონის ბაღები,
ცას ნისკარტი შეახო,
დაუოცნა თაღები.
გული ტრფობით აივსო,
სურვილების მბუგვლი,
მოდის, ვით სამაისო
ვარდისფერი ღრუბელი.

ვარდისფერი ღრუბლები ლურჯ რიონის თავზე და ცაში გაჭრილი მოჩიჩქიკე მერცხალი — ეს სახეები უცნობი და უცხო არ იყო ქართული პოეზიისათვის, მაგრამ ამ დღეებში მაინც ახლებურად ელვარდნენ — თვით პაერში იყო გამდგარი გაზაფხულის სურნელი და იგი ბუნებრივად პოულობდა გზას პოეტის გულსაკენ. ამასთან, ახალგაზრდა პოეტი უკვე ბუნებრივად და უშუალოდ ისწრაფოდა ეროვნული ფესვებისაკენ და ბუნებრივია, რომ თავის პირველ ლექსში გაზაფხულიც მან დიდი აკაკის თვალით დაინახა, როცა რიონის ცაზე გაჭრილი მერცხლის ჭიკჭიკში ქვეყნის განახლების ხმაური შემოესმა. თავის იმდროინდელ ლექსებში პოეტი თითქოს ინსტინქტურად ისწრაფვის მშობლიურ ფესვებს და აცხადებს, რომ პოეზია, მოწყვეტილი ეროვნულ საწყისებს — დაჭკნება, ჩაქრება და ვერ გაიხარებს, რომ პოეტი არ შეიძლება დარჩეს „სხვა ცის ამარა“, რაც არ უნდა მომხიბვლელი იყვნენ

მიძინებული მიქელ ანჯელო
და დიდებული დანტეს სამარე...
კასტელამარე!
კასტელამარე!

ამავე ლექსებში პოეტი ამბობს, რომ ის ეერსად გაექცევა არმაზის მუხების დაგრაგნილ ფესვებს. ამ ფესვების წიაღისეული ძალის შეგრძნობა მუდამ შინაგანად ჩახს ალ. ქუთათელის პოეზიაშიც და პროზაშიც. შემთხვევითი არ არის, რომ თავის რომანში „პირისპირ“ მწერალი მოხუც გლეხს გოჯასპირს ბუმბერაზ მუხას ადარებს, ათასწლოვანი ფესვები რომ აქვს გადგმული მიწაში, იგი სიმბოლოა მთელი ჩვენი ხალხისა და მწერალიც მისი სიცოცხლის მოტრფიალეა. ეს აძლევდა ძალას ნწერლის შემოქმედებას, ეს იყო სათავე იმ ოპტიმიზმისა, იმ დიდი რწმენისა ნათელი მომავლისადმი, რომლითაც თავიდანვე გაცსჭვალული იყო ალ. ქუთათელის შემოქმედება.

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ალ. ქუთათელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა იმ წლებს, როცა იბადებოდა ახალი, საბჭოთა საქართველო; ალექსანდრე ქუთათელი — თვითმხილველი და მონაწილე ამ ისტორიული პროცესებისა — იქცა ამ დიდი გარდატეხის შესანიშნავ მემატიანედ. მისი ოთხტომიანი ეპოპეა — „ჰირისპირი“ დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მართალი და ზუსტი მატიანე თავისუფალი საბჭოთა საქართველოს დაბადებისა. ესაა წიგნი, რომელიც განეკუთვნება მთელი საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე უაკეთეს ქმნილებათა რიცხვს, იმ ფუძემდებლურ წიგნთა რიცხვს, რომელთაც ტრადიცია დაუდეს და თავისი სახე მისცეს ახალ საბჭოთა პროზას; ამ წიგნში მთელი ძალით გამოჩნდა საქართველოს მებრძოლი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მოწინავე ინტელიგენცია, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მეზშვიკური რეჟიმის დასამხობად. იბრძოდნენ საქართველოს ოქტომბრისათვის.

მძიმე და რთული იყო ეს ბრძოლა. და მწერლის გამარჯვებაც სწორედ ის არის, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ეპოქალურ მოვლენათა ბეშმარიტად რეალისტურ ასახვას.

ალ. ქუთათელის რომანი მკითხველს ხიბლავს, პირველ რიგში, თავისი უშუალობით; ავტორმა ფულწრფელად თქვა სიმართლე იმ მნიშვნელოვანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომელსაც განაცდიდა ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი, აზნაურული ბუდეების შთამომავალი, როცა ის სცილდებოდა თავის კლასს, თავის წრის ტრადიციებს და რევოლუციური შეგნებრუნებისა და გარდატეხის წლებში ეძებდა ახალ გზას; რომანის მთავარი გმირი — კორნელი, ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტია, რომელიც გარდატეხის წლებში თითქოს ფხიზლდებოდა, პირისპირ დგებოდა რევოლუციის, ეპოქის, სამშობლოს წინაშე და მართალ გზას ეძებდა. როგორ ეპოვნა მან ეს სიმართლე, რა სულიერი ტანჯვა განიცადა მის ძებნაში, როგორ დადგა იგი თავისი ხალხის მხარდამჭერ, როგორი ძნელი და რთული იყო მისი იდეური და მორალური გადადგომების პროცესი, — ეი ამაზე მოგვითხრობს ალ. ქუთათელის ეროვნული ეპოპეა.

რომანის ყურადღების ცენტრში დგას პრობლემა მთელი სოციალური გარემოცვის გამოსახვისა, რომელიც განუყრელად და ორგანულად არის დაკავშირებული გმირის ინდივიდუალურ ბედთან და ენებებთან; ეპოქასთან რომანის გმირს აკავშირებს თვით გმირისაგე ინდივიდუალური სასიცოცხლო მისწრაფება, აქ კავშირის სათავე თვით ადამიანის სულშია ჩამაბუნული, და თვით ისტორია — მისი ბიოგრაფიაც არის. ამიტომ ეს მოლიანობაც ცოცხალი და ყოვლისმომცველია. ეს ღრმა შინაგანი კანონზომიერება სახისა აქცევს გმირს ნამდვილ ადამიანურ ქმნილებად, ამ მიდგომით დახატა მწერალმა ცოცხალი ცხოვრება თავისი მთავარი გმირის ირგვლივ მხეიმისა.

რთულია ფსიქოლოგიური ქვეყანა ქუთათელის რომანის მთავარი გმირისა. მისი სულიერი ბიოგრაფია დახლართულია პოლიტიკურ მოვლენებში, პირადი ვნებების ქაოსში, ნაწილობრივ დაძლეულ და ნაწილობრივ ჯერ კიდევ დაუძლეველ სოციალურ-რწმენებში და ტრადიციებში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი სწორ გზას თავისი ხალხის წაღლში პოულობს. მწერალი გვიჩვენებს კორნელის ურთიერთობას ხალხთან და ჭაბუკს ბუნებაში აქაც ჯანსაღი საწყისები იმარჯვებენ. ის აქაც მაღლა დგება იმდროინდელ სინამდვილეზე, რადგან მისი გული გამომბარია იმ დიდ კერაზე, რომელსაც წარსულში საქართველოს დიდი ადამიანები ანთებდნენ და აღვივებდნენ თაობათა აღსაზრდელად. და აი, კორნელის უკვე ისე ესმის ცნება სამშობლოსი, როგორც მისი მშობლიური სოფლის გლეხკაცებს. მთელი ეს ერცელი ეპოპეა გვიხატავს ბეშმარიტად ხალხურ ხასიათებს, გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც განასახიერებენ ჩვენი ხალხის დიდბუნებოვნებას, სულიერ სიძლიერეს, ჭირში გაუტეხლობას, და რომანის მთავარი გმირი, კორნელი ქართველი ინტელიგენციის ისტორიულ მისიას უკვე ამაში ხედავს, რომ ის თავის ხალხთან უნდა იყოს, საქართველოს მუშებთან და გლეხებთან.

ხალხურობის პრინციპამ, მაღალი რეალიზმის და ცხოვრების ბრძნული დაკვირვების უნარმა მისცა მწერალს ძალა ესოდენ მართლად გამოეხატა ეპოქის ყველაზე მთავარი ტენდენციები.

ალექსანდრე ქუთათელმა ერცელი შემოქმედებითი ეზა გაიარა; გარდა ამ ფართოპლანიანი რომანისა, იგი ავტორია მრავალი მოთხრობის, რომლებშიც ასახულია საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები; ნაჩვენები არიან ადამიანები, რომლებიც ჰქმნიან ერის სულიერ საგანძურს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ერცელი მოთხრობა „აბესალომ და ეთერი“, რომელშიაც ავტორმა შექმნა ცოცხალი პორტრეტი დაუვიწყარი ვანო სარაჯიშვილისა.

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ალ. ქუთათელის მოთხრობების ციკლმა „ეთნი და შანანა“, აქ მწერალი კვლავ ძერწავს ცხოველმყოფელ ხალხურ ხასიათებს, აღწერს რეალისტური ხატვის მაღალ ოსტატობას.

ალექსანდრე ქუთათელმა გაამდიდრა არა მარტო ახალი ქართული პროზა. მას დიდი დაკვლა და ამაგი მიუძღვის ჩვენი ლირიკის წინაშეც. თავის ლექსებში ის უმღერის ჩვენს დიდ საბჭოთა ეპოქას, ხალხთა ძმობას და მეგობრობას; მისი პოეზია — მკითხველს განუმტკიცებს ხალხისა და სამშობლოსადმი, ადამიანისადმი სიყვარულის უწმინდეს გრძნობებს.

ალ. ქუთათელის შემოქმედების გამარჯვების მთავარი საწინდარი იყო და არის ბრწყინვალე ტალანტთან შეერთებული მაღალი ინტელექტუალური კულტურა, ურომლისოდაც ჭეშმარიტად ეპოქალური შემოქმედება არ წარმოიდგინება. ეს ფართო ჰორიზონტი ივრძნობა მის პოზიციაშიც და ლირიკაშიც. ალ. ქუთათელმა ძველბერძნულიდან თარგმნა ესქილეს „პრომეთეოსი“, გერმანულიდან თარგმნა გოეთეს „ფაუსტი“; იგი, იმავე დროს, ავტორია მრავალი მხატვრული ნარკვევისა, თუ პუბლიცისტური წერილისა, რომლებშიც აღძრულია ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურული განვითარების ძირეული პრობლემები.

ჩვენი საზოგადოებრივობა გულთბილად, მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ალ. ქუთათელის დაბადების ოთხმოც წლისთავს. გუსურვოთ ქართული სიტყვის ამ გამოჩენილ ოსტატს დიდხანს შერჩენოდეს სულიერი სიმხნევე, დაუცხრომელი ხალისი და ტრფიალი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და დიდგრძელობა ჩვენი ხალხის და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი.

კაპიტალის ჯუნგლში

როგორ კეთდება სენსაცია

ანუ როგორ იძცევა პაროდია სინამდვილეს

უუფლებოგა, ქალადოგა

„შეწყდეს პროფესიების აკრძალვა!“ — მოითხოვენ ბანოვერის ქუჩებში დემონსტრაციის მონაწილენი. დემონსტრანტთა სამათასიან კოლონას წინ მიუძღვიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიულად განწყობილ მოქალაქეთა სამარცხვინო დევნის ახალი მსხვერპლნი — სამუშაოდან დათხოვნილ მასწავლებელთა ჯგუფი. (სურათზე ზემოთ).

ამერიკის შეერთებული შტატების 25-მილიონიან ზანგ მოსახლეობას „მეორეხარისხოვან ამერიკელებს“ უწოდებენ. ისევე როგორც ათიული წლის წინათ. დღესაც ფერადკანიანი ამერიკის მოქალაქენი არსებობის უბადრუკ პირობებში ცხოვრობენ ქალაქის ჯურღმულებში. ძველებურად ისინი პირველნი ხვდებიან დასთხოვნთა სიაში, სამუშაოზე კი მათ უკანასკნელთა შორის იღებენ.

მაგრამ შეერთებული შტატების ზანგი მოსახლეობა არ აპირებს შეურიგდეს ამერიკის „ზედმეტი ადამიანების“ ხვედრს. სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა ზანგთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის, ძლიერდება მათი ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ ნიუ-იორკში გამართული რასიზმის საპროტესტო დემონსტრაციის ერთ-ერთ ეპიზოდს.

ადენ-საკდესის ტელეფოტო.



ირანის ამბები

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკვლისი). თეირანის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, ირანის დედაქალაქში ბასულ ღამეს კვლავ დაძაბული ვითარება იყო. ქალაქის ბევრ ნაწილში მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაციები. როგორც წინა ღღეებშიც. დემონსტრაციების მონაწილეებს ცეცხლი დაუშინეს, თეირანში რამდენიმე საათით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. დღეს ადრე დილიდან განახლდა შეტაკებები. დედაქალაქში საქმიანი ცხოვრება პრაქტიკულად მთლიანად ჩაშკედარია.

ხალხის მღელვარებისა და ჯარების მიერ მისი ჩახშობის გამო ცნობები მოვიდა აგრეთვე ბუშირიდან, მეშხედიდან, ისპაანიდან, მეჰაბადიდან და სხვა ქალაქებიდან. ბევრია დახოცილი და დაჭრილი. ასობით ადამიანი დაპატიმრებულია.

ირანის პარლამენტის ქვედა პალატის — მეჯლისის ოპოზიციონერ დეპუტატთა ჯგუფმა დაგზო გენერალ ასხარის სამხედრო მთავრობას მოკმედება და მას დააკისრა პასუხისმგებლობა მშვიდობიან დემონსტრანტთა დახვრეტისათვის. იმის წინააღმდეგ, რომ კვლავ დაპატიმრებული არიან ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელები ხანჯაბი და ფოროუხარი. ორივე ეს პოლიტიკური მოღვაწე, აღნიშნეს დეპუტატებმა, ხან კვირაზე მეტია საპატიმროში იმყოფება, თუმცა არ დადასტურდა ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მათ კონსტიტუციის საწინააღმდეგო განცხადებები გაეკეთებინოთ.

პარიზი, 4 დეკემბერი. (საკვლისი). ცნობილმა ირანელმა რელიგიურმა მოღვაწემ ხომეინიმ, რომელიც ამჟამად საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფება, გააკეთა განცხადება, სადაც ირანის უკანასკნელი დღეების მოვლენებს „სისხლიანი ანგარიშსწორება“ უწოდა. მან ირანელ ჯარისკაცებს მოუწოდა ბრძანებებს არ დაემორჩილონ და არ ესროლონ დემონსტრანტებს.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს ირანში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მასშტაბს და წერს, რომ მათში შესაძრნევ როლს ასრულებს მუშათა კლასი, რომელიც თანამიმდევრულად მიმართავს გაფიცვებს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი, კერძოდ, იტყობინება, რომ დაიწყო გაფიცვა ნავთობის დიდი კომპანიის „ირან პან-ამერიკენის“ ნაწარმოებში, რომელიც სპარსეთის ყურეში ზღვის საბადოების დამუშავებას ეწევა.

ახალი სეზონი, გეგმები, ფიქრები

„ქეგობრობის თეატრი“ გვეპირდება

ამ დღეებში თავისი ახალი სეზონი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრმა“. ამის გამო „ომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება თეატრის დირექტორი მ. ჯოჯუა.

12-დან 16 დეკემბრამდე, — თქვა მან, — ჩვენი სტუმარი იქნება მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. ეტუში. გამამართება მისი შემოქმედებითი საღამო.

სამ დღეს, 21-დან 23 დეკემბრამდე თავიანთი ხელოვნებას გვიჩვენებენ მოსკოვის სატირის თეატრის მსახიობები, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტები ა. მირონოვი და ა. შირეინდი. ესენიც შემოქმედებით საღამოს გამართავენ.

საინტერესოა იანგარ-თებერვლის პროგრამა. 27-დან 4 თებერვლამდე თეატრის მოყვარულთ საშუალება ეძენებათ ნახონ ლენინგრადის სამკეთილ სახელობის დრამატული თეატრის ორი სპექტაკლი შექსპირის „პირველი ცოლის მორჯულება“ და ბ. ბორეიკის „ინტერვიუ ბუენოს-აირესში“. ორივე სპექტაკლში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ფრეინდლიხი და ვ. ელადმიროვი (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი). გათვალისწინებულია ამ მსახიობების შემოქმედებითი საღამოს გამართვაც.

თებერვალში ველოდებით აგრეთვე ბაქოს აზიზბეკოვის სახელობის დრამატულ თეატრს.

მარტში კი შემოქმედებითს საღამოს გამართავს მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. ლანოვოი. ამ თვეშია დაგეგმილი აგრეთვე მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. სმოკტუნოვსკის შემოქმედებითი საღამოც.

აპრილ-მაისში სპექტაკლით „ჟანრის ძიებაში“ გვეწვევა მოსკოვის თეატრი ტაგანკაგზე. გაიმართება ამ თეატრის მსახიობის რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ვ. ვისოცკის შემოქმედებითი საღამო.

სეზონის დასასრულს გათვალისწინებულია მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. იაკოვლევის, სამხატვრო თეატრის მსახიობის, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ე. ევსტიგნეევის, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის ბ. ელადმიროვისა და ვ. ტანკოვის შემოქმედებითი საღამოები.

როგორც ხედავთ, ახალი სეზონი უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენ ველოდეთ, რომ ქართველ მაყურებელი უფრო ახლოს გაეცნოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრისა თუ ცალკეული მსახიობების ხელოვნებას.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

ახალქალაქი

გვაცნობებენ ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი

ლენინის ძეგლი ახალქალაქში



ახლახან ქ. ახალქალაქში ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა რევოლუციის ბელადის ძეგლი. ოთხმეტრიან მარმარილოს კვარცხლბეკზე დგას ლენინის ზრნიჭაოს ფიგურა. ძეგლის პროექტის ავტორია გ. ჯაბუა, მოქანდაკეები — მ. ყიფიანი, ვ. ავაქოვი და ლ. ფოფხაძე.

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ფ. ნერკასოვის ფოტო.

ქალაქი დაამშვენა

რაიონულ ცენტრ ახალქალაქში სულ ახლახან აშენდა რკინაბეტონის ქარხნის, სახელმწიფო ბანკისა და შემნახველი სალაროს ადმინისტრაციული შენობები, ყველა-კარაქის ქარხნის მუშა მოსამსახურეთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქალაქის ახალ დასახლებაში გაიხსნა 50-ადგილიანი მუშათა სასადილო.

მოსწავლეთა ახალმოსახლეობა

ბარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ ალათუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. აქ აშენდა ახალი ორსართულიანი სასკოლო შენობა, რომელიც 450 მოსწავლისთვის არის გათვალისწინებული. ახალმოსახლეობა იზეიმეს აგრეთვე დრენის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა.

ახლიდ სასკოლო შენობებმა საშუალება მისცა ამ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს გადასულიყვნენ ერთიანლად მეცადინეობასა და სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

მომსახურება უმჯობესდება

ახალქალაქსა და სოფლებში — ციხისში, ზაკვში, გადოლარში აშენებულ ახალი ობიხოები. ციხის სასოფლო საბჭომ მიიღო ეკონომიურობილი ახალი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, სადაც სასოფლო საბჭოსთან ერთად გადავიდა აგრეთვე სოფლის ბიბლიოთეკა.

პოლმეურნეობის სახსრებით

ფურნავეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე — მ. კოჩლიანი) დიდად ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააგო სოფლის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, სასოფლო კულტურის სახლი, ქოროწინების სახლი, და სხვა. და აი, მათ შეემატა კიდევ ორი ახალი ობიექტი. ეს გახლავთ ბავშვთა ბაგა-ბაღის ახალი ორსართულიანი შენობა 120 აღსაზრდელისათვის და მუშათა სასადილო.

მალე მწყობრში ჩადგება

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა. მალე ააგებენ რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკას, რომელიც 25 ათასი მოქცეულისათვის არის გათვალისწინებული. მალე დამთავრდება აგრეთვე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე რაიონული კულტურის სახლის შენებლობა. მისი დერბაზი 600 მაყურებელს დიტევს.

შ. მაისურაძე.

ამოქალვა სახელოვან იუბილეს

ახალციხე. (საკ. კორ.). მას შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთი საბოლოოდ განთავისუფლდა თურქ დამპყრობთაგან და მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა, 150 წელი შესრულდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა პარტიის ახალციხის რაკომის სხდომათა დარბაზში. კონფერენცია მოაწყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ.

ასეთივე კონფერენციები მოეწყო ადიგენსა და ასპინძაში.

✦

„ფიგულია“ — ლატარიით!

ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში მცხოვრებმა ელდარ პარტუკას ძე ციცქარავამ ამას წინათ ზუგდიდის ცენტრალურ შენახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1978 წლის დამატებითი გამოშვების ლატარიის ბილეთი (ხერია 47495 № 481), რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ფიგულა № 2101“.

ბ. ალშიბაია.

სოციალისტური ინტერვიუ

მათთვის, ვინც სამშობლოს იცავდა

შეღავათები დიდი სამამულო ომის მონაწილეებს

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რამდენიმე დღის შემდეგ კი სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ მიიღო კანონი ომის ინვალიდთათვის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ხალხთველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს კ. ბარდაფხავაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას. ქვემოთ ვაქვეყნებთ მინისტრთან საუბრის ჩანაწერს:

გთხოვთ მკითხველებს გააცნოთ დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოჯახების საკანონო უზრუნველყოფის სპერმო მდგომარეობა.

თითქმის მესამედი საუკუნეა მას შემდეგ, რაც მოწყდა დიდი სამამულო ომის უკანასკნელი ზალპები. მდგრამ მის შედეგებს ჩვენ დღესაც ვგრძნობთ და ვხედავთ. ომში გამარჯვებას, სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ჩვენ შორის ცოტა როდია ისეთი, რომლებმაც სისხლი დაღვარეს სამშობლოსათვის, ან სამკვლერო-სასიცოცხლო ბრძოლებში დაღუპულნი შვილი, ქმარი თუ მამა.

ომის საშინელებებს მოგვაგონებს აგრეთვე ომის ვეტერანთა მრავალრიცხოვანი არმია, რომლებიც დაჭრის, კონტუზიისა თუ ავადმყოფობის გამო დაეხარჯნენ ბრძოლის ველიდან და მიუხედავად ხანგრძლივი მკურნალობისა ვერ აღიდგინეს ჯანმრთელობა და დაინვალიდნენ. ამიტომ არის, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ომის ვეტერანებისა და ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის, ყოველ ღონეს ხმარობენ მათი მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულია შრომისუნარიანობის დაკარგულ მოქალაქეთა, უწინარესად, ომის ინვალიდთა საკმაოდ მაღალი მატერიალური უზრუნველყოფა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს ქვეყანაში, სადაც ადამიანზე მის კეთილდღეობაზე ყოველდღიური ზრუნვა პარტიულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციათა მოღვაწეობის დედაარსია.

თითქმის არ არის არე ერთი ისეთი წელი, რომ პარტიამ და მთავრობამ არ განახორციელონ მნიშვნელოვანი ახალი ღონისძიება ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მარტო უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე დადგენილება, რომელთა საფუძველზე მნიშვნელოვნად ამაღლდა ომის ვეტერანთა და ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1973 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე სამამულო ომის I და II ჯგუფების ინვალიდებსა და დაღუპულ მეომართა ოჯახებს პენსიების ოდენობა თითქმის ორჯერ გაეზარდათ. ბრძანებულება შეეხო III ჯგუფის ინვალიდებსაც, რომელთაც გაეზარდათ როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური პენსიები.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მარტო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან პენსიას იღებენ ათი ათასობით სამხედრო სამსახურგამოვლილი ინვალიდი და ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შეღავათები და უპირატესობანი, რომლებითაც სარგებლობენ ომის ვეტერანები და ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოჯახები, ზთ ყოფა-ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან მხარეს მოიცავს.

შარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ, რომლებიც ნიადაგ ზრუნავენ დიდ სამამულო ომის მონაწილეებისათვის, უკვე ბევრი რამ გაკეთეს ამ მხრივ. ხომ არ შეგვიძლია გამოვძებნოთ დამატებითი სახსრები, რათა კიდევ მივცეთ ერთგვარი შეღავათი იმათ, ვინც ჩვენი სამშობლოს თავგასუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვა უმძიმეს ომში? მე მგონია, რომ შეგვიძლია“.

და აი, გავიდა ერთი წელი და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ახალი დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ახლა გვეკამათეთ, თუ რა შეღავათებს ითვალისწინებს ახალი დადგენილება სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის?

დადგენილება დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის მთელ რიგ დამატებით შეღავათებსა და უპირატესობებს ითვალისწინებს. მონაწილეებს უფლება ეძლევა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედ არმიებში მსახურობდა, აგრეთვე სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული შეღავათები გავრცელდება მილიონობით ომის ვეტერანზე — ომის ინვალიდებსა და მონაწილეებზეც, ზრუელად გასაგები გახდება, თუ რამდენ დამატებითს სახსრებს გაიღებს ამ მიზნით ჩვენი სახელმწიფო.

ამ დადგენილებით დამატებითი შეღავათები ეძლევათ აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდებს. თათ უფლება აქვთ უფასოდ იძოგზაურონ საგარეუანო ძიმოსვლის ოკინგზის ყველია და საავტომობილო ტრანსპორტით; სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, სათბობს 50 პროცენტის ფასდაკლებით მიიღებენ, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებს უფასოდ გაუკეთდებათ კბილის პროთეზი.

აღნიშნული შეღავათები ვრცელდება აგრეთვე იმ მოქალაქეებზე, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან საშინაო სასსახურის სხვა მოგალეობათა შესრულების დროს, და შიხაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მუშაკებზე, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივი მოგალეობის შესრულებისას. აძის გარდა, სამამულო ომის I და II ჯგუფების ინვალიდები მოლიანად თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო, ნაგებობათა და მიწის რენტის გადასახადისაგან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ კვლავ გაამახვილეს სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება იმაზე, რომ ყოველდღიურად ზრუნავდნენ ომის ვეტერანებზე — იმ ადამიანებზე, რომლებიც ომის ქარცეცხლიან დღეებში საკუთარ თავს არ დაგიდვდნენ, არავითარ უპირატესობას არ მოითხოვდნენ გარდა ერთისა — დაეცვათ სამშობლო.

ამ მხრივ საქართველოს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ბევრი რამ განხორციელდა და კეთდება. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია.

საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს ამსანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომ „... დღეს, იმ ბრძოლებიდან მრავალი წლის შემდეგ რაგინდ მოუცლელიც უნდა ვიყოთ, მოგალენი ვართ შუდამ გვახსოვდეს ახინი, ვინც ომში იყო. ზრუნვა და ყურადღება არ მოვაკლოთ მათ, დავეხმაროთ საყოფაცხოვრო საქმეებში — ეს ხელისუფლების ორგანიზაციების, ყველა მოქალაქის მორალური ვალია, ეს ჩვენი ცხოვრების კანონია“.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

რა ხდება ცაიტნოტში

სსრ კავშირის რეკორდსმენი ჩემპიონატი ჭადრაკში

მესამე ტურში იყო მომენტი, როდესაც სასტიკი ცაიტნოტის პირობებში პოლუგაევსკის და გულკომ ორიენტაცია დაკარგეს. მათ კიდევ რამდენიმე სვლა ჰქონდათ გასაკეთებელი საკონტროლო ღონმდე. ეს იცოდნენ მსაჯებმა, იცოდნენ მაყურებლებმაც და არ იცოდნენ მხოლოდ მეტოქეებმა. სხვა მონაწილეებმა ეროვნებით მიატოვეს თავიანთი პარტიები, გარს შემოერტყნენ პოლუგაევსკისა და გულკოს მაგიდას. და აი, როგორც გამოირკვა, „ყოველი შემთხვევისათვის“ დიდოსტატებმა საკიროზე გაცილებით მეტი სვლა გააკეთეს. დაფაზე წარმოიქმნა ეტლების დაბოლოება გულკოსათვის ზედმეტი პაიკით. ცნობილი დიდოსტატი ტარტაკოვერი ამბობდა, ეტლების ენდშპილის მოგება შეუძლებელიაო, თუმცა, ვინ იცის...

„დაბეთ, სვეშნიკოვი საკუთარ ვარიანტს თამაშობს“. — თქვეს ექსპერტებმა დარბაზში. ეს მართლაც დიდი გაბედულება იყო — საკუთარი ვარიანტის თამაში განთქმული თეორეტიკოსის გელერის წინააღმდეგ, რომელსაც უამრავი მეტოქე გაუბია მსგავს „მახეებში“. გელერი დიდხანს ზუსტად, მეთოდურად თამაშობდა და, თითქოს, პოპულარულ „სვეშნიკოვის ვარიანტს“ შავი ღილ. უნდა დასდგომოდა, მაგრამ... ჭადრაკის ფიფასთან ზოგს „დროებითი მტერი“ ჰყავს, გელერის „მუდმივ მტერს“ კი ცაიტნოტი ჰქვია. ჩინეთელ პოზიციაში მრავალნაცად დიდოსტატს სწორედ ეს მრისხანე მოწინააღმდეგე წამოეპარა, სიჩქარეში გელერი უფიგურულად დარჩა და დანებდა.

ტალი და რომანიშინი დიდი მეგობრები არიან. 1974 წლის ბოლოს, საზონთაშორისო ტურნირის წინ, რომანიშინი შეეცალიაში წასასვლელ ტალს სპარინგპარტნიორადაც კი გამოადგა. ახლა ძველი მეგობრობა „გვერდზე გადადო“, მეტოქენი უშეღავათოდ იბრძოდნენ. იყო მომენტი, როდესაც რომანიშინმა შაეებით უკეთესი პოზიციაც კი მიიღო, მაგრამ ეს გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბელიავსკი ივლისში ვილნიუსში დამარცხდა ტუკმაკოვთან და ეს გარემოება „გულში ჩაიღო“, რის გამოც ახლა ისეთი მონდომებით თამაშობდა, თითქოს მთელი მისი სატურნირო იღბალი სწორედ ამ პარტიაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ტუკმაკოვის პაიკები ცუდად მიკერებული ღილებივით „წყდებოდნენ“ და მას დანებება მოუხდა. მიხალჩიშინი შავებით, ცოტა არ იყოს, გაუთამამდა ცეშკოვსკის, ფიგურა შეწირა და იერიშზე გადასვლას შეეცადა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, მიხალჩიშინი უტლოდ დარჩა და დანებდა.

ხელბურთი

„ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ბუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ხელბურთელ გაქთა XII საიოთაშორისო ტურნირი. პირველი დღის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი (I)-სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — 40:22 (17:9), რუმინეთი-იუგოსლავია — 22:16 (11:11), საქართველო-ჩეხოსლოვაკია — 23:34 (12:17).

ფეხბურთი

ქვლავ მეორე ლიგაში

მკითხველმა იცის, რომ მეორე ლიგის IV ზონაში საქართველოს გუნდებს შორის ბოლოსწინა ადგილზე გასულმა ბათუმის „დინამომ“ პირველი მატჩი მეორე ლიგის პრეტენდენტთან — ფოთის „ოლხეთთან“ ფოდ ითამაშა (2:2). გუშინ „დინამომ“ განმეორებით შეხვედრაში დამჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (5:1) და გაისად კვლავ მეოთხე ლიგაში ითამაშებს.

ზონალურ ტურნირზე

ფრუნზეში — მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირზე გათამაშდა მესამე ტური. სიხტერესოდ მიმდინარეობდა იოსელიანის შეხვედრა დიდოსტატ ზატულოვსკიასთან (მოსკოვი). თბილისელმა მოკადრაკემ, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, სიცილიურ დაცვას მიმართა და პარტიის პირველ ნახევარში უკეთესი მდგომარეობაც ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში შეცდა, თვით მიიღო მძიმე პოზიცია და დამარცხდა. გურიელმა შაეებით ხელთ იგდო ინიციატივა და თანმიმდევრულად სძლია საუნინს (სეერდლოვსკი). ხუგაშვილმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ტიტორენკოსთან (მოსკოვი).

სამი ტურის შემდეგ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია — 6 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განსახადებები (ფერადი), 17.35 — შვეიცარიული ენა, 18.05—მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის — „ჩემი სკოლა“, 18.40 — მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება (ფერადი), 19.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიმართული“, 19.30 — „მოამბე“ (ფერადი), 20.00 — „ფინეთის ტელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულისადმი (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ (მოსკოვიდან), 22.40 — „ოკეროპირი“ სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (ფერადი), 23.20 — საორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა (ფერადი), 18.45 — განცხადებები, 18.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვასიუკოვეული ტრაგედორები“, 19.20 — კონცერტი, 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მოთხრობა მწვანე სახლზე“, „მშენებლები“, 21.00 — მხატვრული ფილმი „დაკარგული ექსპედიცია“. 11 სერია (ფერადი).

თეატრი — 6 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მედეა (მე-2 აბონ. ძე-5 წარმოდგენა); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პეკინ, მცირე დარბაზში — ჩემო კალამო; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვალსი; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ეარამანს ქალი მოყვარეა; ბეტონის თეატრი — ქართული ნოველების სალამო.

ბავშვთა ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა ბავშვთა ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილის სავიზიტო ბარათი



პოლუგაევსკი

44 წლისაა. მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრია. დღეისათვის ლევ პოლუგაევსკი მსოფლიოს ერთერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება 1962 წელს მოიპოვა. სპორტის დამსახურებული ოსტატი და პრეტენდენტთა ორასპარეზობის მონაწილეა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო 1967 და 1968 წლებში. საკავშირო ჩემპიონატში მაკსიმალიტედ მონაწილეობს.

წლეულს პოლუგაევსკიმ მეორე ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქალაქ ლონპაინში ეწყობა. ამას წინათ ითამაშა ბუენოს-აირესის საერთაშორისო ოლიმპიადაში, სადაც საუკეთესო შედეგი აჩვენა საბჭოთა ვაჟთა ნაკრებში.

პოლუგაევსკი ცნობილი თეორეტიკოსია. მის კალამს ეკუთვნის წიგნი „ვარიანტის დაბადება“ და მრავალი თეორიული სტატია.

ქომუნისტი

ბაკური ფისამარიოს და ტელეფონები

880096 თბილისი-96, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეებთან—99-93-03 99-53-09, პ/მდივნის — 99-72-80 სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61 პრობანდის — 98-22-98 მრეწველობის — 98-20-34 სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-15-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-65-01, ინფორმაციის — 99-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-72-94 ილუსტრაციის — 98-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 12201 საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 880096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

ჩიტიურ-ქანონი

სანამ განცხადებას დაწერდე...

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

აქედან დავიწყოთ: რედაქციაში საჩივარი მოვიდა. ვალდებული ვართ მთხოვნელის გასაჭირს ყურადღებით მოვეკიდოთ, მოვეძებნეთ ადამიანს, რომელმაც დახმარებისთვის მოგვმართა. ასეც ვიქცევით: მომჩივანთა ბედი გვაღელვებს და ყველა ღონისძიებით ვცდილობთ დავეხმაროთ მათ. ბევრისთვის გაგვიმართავს კიდეც ხელი.

მაგრამ ვალდებულებაც არის და ვალდებულებაც. ყველა მომჩივნის დაკმაყოფილება, ვინც კი ხელში კალამს აიღებს და რედაქცია გამოუგზავნის, შეუძლებელია. მიზეზი ერთი და ორი როდი გახლავთ და უმჯობესია ისინი ცალკეული მაგალითების მიხედვით განვიხილოთ.

მოხუცი ქალი თერჯოლიდან ჩამოვიდა. საკუთარი ხელით ჩამოიტანა განცხადება. წუხდა — მეზობელი მიაგრავს და მიშველეთო. აღგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართაც საყვედურს გამოთქვამდა. შეგვეცოდა ატირებული და აცახცახებული ქალი.

განცხადებას კონტროლი დაეწესეთ, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ტელეფონით დავუკავშირდით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მომჩივანი მართალი არ ყოფილა. საქმე ის გახლდათ, რომ მოხუცის ეზოს გადალმა, გზის პირზე მეზობელს ხეები დაურგავს, რომლებიც გაზრდილან და ახლა დამრგველს ბრალად ედებოდა „დანაშაულის წინასწარგანზრახვით ჩადენა“ — მეზობლის ჯინზე ალვის ხეების ბოსტნის დასაჩრდილად და საზიანოდ გახარება. მომჩივანი ხეების მოჭრას მოითხოვდა.

აღმასკომის თავმჯდომარე პირადად გაეცნო მდგომარეობას და განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილებაზე ორი მიზეზის გამო თქვა უარი. პირველი — საჩივრის უსაფუძვლობის გამო: ხეები ხელს არავის უშლიდა, ბოსტნს არ ჩრდილავდა, მეორე — ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის უნებართვოდ, ახლა არათუ რამდენიმეს, ერთ ხესაც ვერავინ მოჭრის. მოხუცს ბევრჯერ განუმარტეს აღიმშული გარემოება, მაგრამ იგი არ ცხრება, ჩივილს განაგრძობს.

შესაძლოა, სხვა დროს მეზობელი მოხუცთან ტყუოდა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მას ბრალს ვერ დავდებთ. ანდა, კაცმა რომ თქვას, ალვის ხის ჩრდილი რა სადაოა? კაკლის ხე რომ იყოს, კიდევ ჰო! ეს კი ერთი იმ უმნიშვნელო მიზეზთაგანია, რომელსაც მეზობლური ჯიბრი და კიჟლაობა ჰქვია.

ახლა სხვა განცხადება ავიღოთ. ის ასე იწყება: ასი ეგზავლება, ერთ, მეორე, მესამე ინსტანციას (მსგავსი შემთხვევები ხშირია, დედახს ჩვენთან გამოგზავნიან, ასლებს კი სხვაგან და პირიკით).

საჭიროა კი ასეთი აწრიალება იმის გამო, რომ შეიტყო, თუ სად იყიდება ცხენის დასაქედი ლურსმანი?

ამ შეკითხვას მარტო ჩვენ ვეკუოფოდით, რიგას აცდენდნენ დაწარჩენ ორგანიზაციებს? ქვემოთ ვბეჭდავთ შეკითხვის პასუხს:

რესპუბლიკაში აქამდე არ აწარმოებდნენ ცხენის დასაქედ ლურსმნებსა და ნალებს. მომავალ წელს „ეკავშმოს“ მაღაზიები მიიღებენ ერთსაც და მეორესაც. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ორხევის ლითონის ნაწარმის ქარხანა გამოუშვებს ამ პროდუქციას“.

ერთი საჩივარიც განვიხილოთ და შემდგომ მოგახსენებთ სათქმელს, იმის შესახებ, თუ რა განწყობილება და ფიქრი ეუფლება ადამიანს მსგავსი განცხადებების მოხლვაევების დროს.

მომჩივნის ღორი მანქანას გაუტანია. განმცხადებელი ზარალის ანაზღაურებასა და დამნაშავეს დასჯას მოითხოვს. მასაც „ზემოთ“ აქვს ნაჩივლები ისე, რომ თავის რაიონში ამ ამბის შესახებ არაფერი იციან, რაიაღმასკომი, შინაგან საქმეთა აღგილობრივი განყოფილება და სასამართლო საქმის კურსში არ არიან. სწორედ ამაზე ამბობდნენ ხოლმე ძველად, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

სინაკე, ადამიანო, და სამართალი ჯერ შენს სოფელში, რაიონში, ეძებე. იქნებ, ადგილზე გიშველონ, გირჩიონ, ბარალი აგიანაზღაურონ.

ღორის ზარალის ანაზღაურებისა თუ ცხენის დასაქედი ლურსმნის ზემდგომ ინსტანციებში მოკითხვა, სხვას რომ თავი დაეანებთო, საკუთარი თავისადმი უპატივცემულობა ხომ არ არის?

კონსტიტუციური უფლებების გაძლიერება, ის, რომ შეგიძლია საჩივრით მიმართო ყველა ინსტანციას — ამის როლი ნიშნავს, გვერდი აუარო ქვემდგომთ და ზემოდან დაიწყო ჩივილი.

წესრიგი და ტაქტი ყველგან და ყოველთვის პატივსაცემია. ზემოთ მოყვანილმა ფაქტმა უნებლიეთ გაგახსენა ცხობილი „ქურნალისტის ტატანა ტესის წერილი „ტაქტის გაკვეთილები“, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ „იზვესტიაში“.

სწორედ რომ უტაქტობაა უთავბოლო ჩივილი!

ერთიც უნდა აღვნიშნოთ: საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, სამოქალაქო საქმეების განმაყოფილებაზე ორი მიზეზის გამო თქვა უარი. პირველი — საჩივრის უსაფუძვლობის გამო: ხეები ხელს არავის უშლიდა, ბოსტნს არ ჩრდილავდა, მეორე — ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის უნებართვოდ, ახლა არათუ რამდენიმეს, ერთ ხესაც ვერავინ მოჭრის. მოხუცს ბევრჯერ განუმარტეს აღიმშული გარემოება, მაგრამ იგი არ ცხრება, ჩივილს განაგრძობს.

შესაძლოა, სხვა დროს მეზობელი მოხუცთან ტყუოდა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მას ბრალს ვერ დავდებთ. ანდა, კაცმა რომ თქვას, ალვის ხის ჩრდილი რა სადაოა? კაკლის ხე რომ იყოს, კიდევ ჰო! ეს კი ერთი იმ უმნიშვნელო მიზეზთაგანია, რომელსაც მეზობლური ჯიბრი და კიჟლაობა ჰქვია.

ახლა სხვა განცხადება ავიღოთ. ის ასე იწყება: ასი ეგზავლება, ერთ, მეორე, მესამე ინსტანციას (მსგავსი შემთხვევები ხშირია, დედახს ჩვენთან გამოგზავნიან, ასლებს კი სხვაგან და პირიკით).

საჭიროა კი ასეთი აწრიალება იმის გამო, რომ შეიტყო, თუ სად იყიდება ცხენის დასაქედი ლურსმანი?

ამ შეკითხვას მარტო ჩვენ ვეკუოფოდით, რიგას აცდენდნენ დაწარჩენ ორგანიზაციებს? ქვემოთ ვბეჭდავთ შეკითხვის პასუხს:

რესპუბლიკაში აქამდე არ აწარმოებდნენ ცხენის დასაქედ ლურსმნებსა და ნალებს. მომავალ წელს „ეკავშმოს“ მაღაზიები მიიღებენ ერთსაც და მეორესაც. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ორხევის ლითონის ნაწარმის ქარხანა გამოუშვებს ამ პროდუქციას“.

ერთი საჩივარიც განვიხილოთ და შემდგომ მოგახსენებთ სათქმელს, იმის შესახებ, თუ რა განწყობილება და ფიქრი ეუფლება ადამიანს მსგავსი განცხადებების მოხლვაევების დროს.

მომჩივნის ღორი მანქანას გაუტანია. განმცხადებელი ზარალის ანაზღაურებასა და დამნაშავეს დასჯას მოითხოვს. მასაც „ზემოთ“ აქვს ნაჩივლები ისე, რომ თავის რაიონში ამ ამბის შესახებ არაფერი იციან, რაიაღმასკომი, შინაგან საქმეთა აღგილობრივი განყოფილება და სასამართლო საქმის კურსში არ არიან. სწორედ ამაზე ამბობდნენ ხოლმე ძველად, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

სინაკე, ადამიანო, და სამართალი ჯერ შენს სოფელში, რაიონში, ეძებე. იქნებ, ადგილზე გიშველონ, გირჩიონ, ბარალი აგიანაზღაურონ.

ღორის ზარალის ანაზღაურებისა თუ ცხენის დასაქედი ლურსმნის ზემდგომ ინსტანციებში მოკითხვა, სხვას რომ თავი დაეანებთო, საკუთარი თავისადმი უპატივცემულობა ხომ არ არის?

კონსტიტუციური უფლებების გაძლიერება, ის, რომ შეგიძლია საჩივრით მიმართო ყველა ინსტანციას — ამის როლი ნიშნავს, გვერდი აუარო ქვემდგომთ და ზემოდან დაიწყო ჩივილი.

წესრიგი და ტაქტი ყველგან და ყოველთვის პატივსაცემია. ზემოთ მოყვანილმა ფაქტმა უნებლიეთ გაგახსენა ცხობილი „ქურნალისტის ტატანა ტესის წერილი „ტაქტის გაკვეთილები“, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ „იზვესტიაში“.

სწორედ რომ უტაქტობაა უთავბოლო ჩივილი!

ერთიც უნდა აღვნიშნოთ: საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, სამოქალაქო საქმეების განხილველად მოწოდებული არიან ადმინისტრაციული ორგანოები: შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, პროკურატურა, სახალხო სასამართლო. კანონიერების დაცვა, მართლწესრიგის აღდგენა მათ კომპეტენციაში შედის.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვსურს, რომ საჩივარი და განცხადება ავტორმა ზუსტი მისამართით უნდა გაგზავნოს, უხერხულობაში არ უნდა ჩიგდოს საკუთარი თავი და ის ორგანიზაცია, რომელსაც არასწორად მიმართავს. განცხადება უთუოდ დაქვემდებარებისა და დანიშნულებისამებრ გადაგზავნება. გაგზავნ-გამოგზავნაში ფუჭად დაიკარგება დრო და ენერგია, ზარალდება თვით მომჩივანი.

შესაძლოა